ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 577 44 40 60
577 47-43-34

N 88
13/06/2017

88-08-4-201706131645

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული ზოგიერთი შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციის პროფესიული საჯარო მოხელის

თანამდებობად განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურეთა პოზიციების ფუნქციათა ერთობლიობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, (მოხელის თანამდებობისადმი ფუნქციათა ერთობლიობის კუთვნილების დადგენის მიზნით შექმნილი დროებითი კომისიის 12.06.2017 წლის სხდომის ოქმი N1)

ვბრძანებ:

1. ამ ბრძანების დანართში მითითებული შტატგარეშე მოსამსახურეთა პოზიციები, 2017 წლის 1 ივლისიდან გარდაიქმნას პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობებად.

2. დაევალოს საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თანამდებობებზე შესაბამისი პროფესიული საჯარო მოხელეების დანიშვნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა